საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030128369975221

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4021 **19 / მარტი / 2021 წ.**

სსიპ „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ გენერალურ დირექტორს ბატონ ამირან გამყრელიძეს

ბატონო ამირან,

როგორც თქვენთვის ცნობილია (წერილები N01/6344 16.03.2021 და N06/1007 19.03.2021), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ წერილობით მომართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპანია Sinovac-ის მიერ წარმოებული ვაქცინების დონაციასთან დაკავშირებით ჩინეთის მთავრობის გადაწვეტილების შესახებ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინფორმაციით, ჩინეთმა უკვე განახორციელა ვაქცინების ექსპორტი მსოფლიოს 27 ქვეყანაში, ხოლო 53 სახელწიფოს გადასცა (ან გადაცემის პროცესშია) ჰუმანიტარული დახმარების სახით. აღნიშნული ვაქცინებია: “BBIBP-CorV”-ი, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო ბიოფარმაცევტული კომპანია “Sinopharm”-ი და პეკინის ბიოლოგიური პროდუქტების ინსტიტუტი (Beijing Institute of Biological Products) და “CoronaVac”-ი, რომელსაც აწარმოებს კერძო ბიო-ფარმაცევტული კომპანია “Sinovac Biotech Ltd”.

ჩინეთის მთავრობის ინფორმაციით, მარტის ბოლოსთვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) გამოაქვეყნებს დასკვნას “Sinovac Biotech Ltd”-ს ვაქცინის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

კომპანია “Sinovac Biotech Ltd”-ს გენერალური დირექტორის ინ ვეიდონგის (Yin Weidong) განცხადებით, ა.წ. ივნისის თვის ბოლოსთვის კომპანია გაზრდის ვაქცინების წარმოებას 2 მილიარდ დოზამდე.

დღეისათვის “Sinovac Biotech Ltd”-ს ვაქცინაის (CoronaVac) შესყიდვის, ან ჰუმანიტარული დახმარების სახით მიწოდების თვალსაზრისით მსოფლიოში შემდეგნაირი ვითარებაა:

- ევროპა - უკრაინა - 5 000 000
- აზია: აზერბაიჯანი - 4 000 000, თურქეთი - 100 000 000, ინდონეზია - 125 500 000, ფილიპინები - 25 000 000, მალაიზია - 14 000 000, ჰონგ-კონგი - 7 500 000 დოზა, ტაილანდი - 2 000 000, სინგაპური (რაოდენობა უცნობია);
- ამერიკა: ჩილე - 60 000 000, ბრაზილია - 130 000 000, მექსიკა - 35 000 000, კოლუმბია - 2 500 000, ურუგვაი - 1 700 000, ეკვადორი - 2 000 000, პერუ.

აღსანიშნავია, რომ ა.წ. 2 მარტს, მალაიზიამ გასცა „პირობითი ნებართვა“ “Sinovac”-ის ვაქცინის გამოყენებაზე (conditional approval for the use), რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები ავტორიზაციის ბოლომდე გასავლელად (Sinovac will be required to provide additional data on rolling submissions to ensure the vaccines’ effectiveness and safety).

სახელმწიფო დახმარების პროგრამის ფარგლებში, ჩინეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს უსასყიდლოდ გადასცეს კომპანია Sinovac-ის მიერ წარმოებული 100,000 დოზა ვაქცინა, რაც მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა საქართველოსთვის ვაქცინების წარმოების გლობალური დეფიციტის გათვალისწინებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დოკუმენტებს თან ახლავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული სამედიცინო პროდუქტის ადმინისტრაციის წამლის ლიცენზია. ამასთან, ვაქცინას აქვს მოქმედების

ხანგრძლივი ვადა (2022 წლის 4 თებერვალი), რაც მათი შენახვის შესაძლებლობას იძლევა ჯანმოს შესაბამისი გადაწვეტილების, ან მის მიერ აღიარებული მკაცრი მარეგულირებელის ავტორიზაციის მიღებამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის მიერ კომპანია Sinovac-ის მიერ წარმოებული ვაქცინების დონაციის შესახებ ვალდებულებათა წერილის (letter of commitment) მოწონების შემთხვევაში, გთხოვთ, უზრუნველყოთ „განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივად დაზიანება, ეპიდემია, იშვიათი დაავადება) ჰუმანიტარული მიზნით, აგრეთვე სხვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობისას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანხმობით საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვების რეჟიმების გვერდის ავლით, არაკომერციული მიზნით შემოტანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის № 327/ნ ბრძანების შესაბამისად, ვაქცინების რეგისტრაციის პროცედურები.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია